

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შპს „არგო“

ს/კ 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

დამტკიცების თარიღი: 23/09/2022

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8-21

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „არგო“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშს, მოგება-მარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშგები“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;

2. გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;

3. განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

1. კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

2. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;

3. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 23 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

/გოჩა ვარდოსანიძე/

/ლიანა სვამკოჩაიშვილი/



შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი აქტივები		
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	12	96,858
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		96,858
მომდინარე აქტივები		
გადახდილი ავანსები	11	126,801
მოკლევადიანი მოთხოვნები	10	4,656,685
მარაგები	13	2,757,970
წინასწარ გაწეული ხარჯები	14	13,974
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	563,007
სხვა მიმდინარე აქტივები		750
მთლიანი მიმდინარე აქტივები		8,119,187
სულ აქტივები		8,216,045
ვალდებულება და კაპიტალი		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები		(1,517,824)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(1,517,824)
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები	15	(389,129)
გადასახდელი ხელფასები		-
საგადასახადო ვალდებულებები		(60,563)
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		(449,692)
მთლიანი ვალდებულებები		(1,967,516)
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		(2,000)
რეზერვები და დაფინანსება		(15,955)
გაუნაწილებელი მოგება		(6,230,574)
მთლიანი კაპიტალი		(6,248,529)
მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი		(8,216,045)

დირექტორი:  /გიორგი ვარდოლასანიძე/

მთ.ბუღალტერი:  /ლიანა სკამკონიშვილი/



შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	20,610,785	17,764,049
შრომის ანაზღაურება	(1,254,382)	(1,199,699)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(14,094,383)	(12,578,935)
ქონების გადასახადი	(511)	(470)
საიჯარო ქირა	(79,379)	(74,100)
ცვეთა და ამორტიზაცია	12 (14,428)	(16,299)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	19 (2,675,487)	(1,774,413)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	2,492,215	2,120,133
კურსთა შორის სხვაობა	74,643	(224,809)
საპროცენტო ხარჯი	(69,438)	(78,144)
მოგება/ზარალი ფინანსური საქმიანობიდან	5,205	(302,953)
ფინანსური შემოსავალი	-	-
შედეგი ფინანსური საქმიანობიდან	5,205	(302,953)
სხვა შემოსავალი	18 213,872	450,169
სხვა ხარჯები	19 (65,925)	(215,698)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე	2,645,367	2,051,651
მოგების გადასახადი	199,059	116,118
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის	2,844,426	2,167,769

დირექტორი:



/გიორგი ვარდოლასანიძე/

მთ.ბუღალტერი:



/ლიანა სკაბულონიძე/



შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	რეზერვები და დაფინანსება	სულ
31 დეკემბერი, 2019	2,000	3,634,732	15,955	3,652,687
მოგება წლის განმავლობაში	-	2,051,651	-	2,051,651
მოგების განაწილება დივიდენდად	-	(774,118)	-	(774,118)
31 დეკემბერი, 2020	2,000	4,912,265	15,955	4,930,220
მოგება წლის განმავლობაში	-	2,645,367	-	2,645,367
მოგების განაწილება დივიდენდად	-	(1,327,058)	-	(1,327,058)
31 დეკემბერი, 2021	2,000	6,230,574	15,955	6,248,529

დირექტორი:

/გიორგი ვარდლოსანიძე/

მთ.ბუღალტერი:

/ლიანა სკამკოჩაიშვილი/



შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერი

საოპერაციო საქმიანობა

მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	16,797,606	21,416,760
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(15,474,143)	(21,083,710)
სხვა	(24,964)	(263,888)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	1,298,499	69,162
გადახდილი გადასახადი	-	(55,647)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,298,499	13,515

საინვესტიციო საქმიანობა

ძირითადი საშუალებების შეძენა	(9,736)	(31,650)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	9,309	
ნეტო ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(427)	(31,650)

საფინანსო საქმიანობა

სესხები	(17,663)	562,700
გაცემული დივიდენდი	(1,071,600)	(625,100)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1,089,263)	(62,400)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	208,808	(80,535)
სავალუტო კურსის ეფექტი	(23,938)	25,187
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	378,137	433,485
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	563,007	378,137

დირექტორი:



/გიორგი ვარდოლასანიძე/

მთ.ბუღალტერი:



/ლიანა სკამკოჩიშვილი/



შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

შპს „არგო“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2003 წლის 19 მაისს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. მისი რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მეფე მირიანის ქ. №62, საიდენტიფიკაციო კოდი: 250724337

„კომპანიის“ დირექტორია გოჩა ვარდოსანიძე (პ/ნ:01025013358).
ხოლო დამფუძნებლები არიან:

მერაბ ნაჭყებია, (პ/ნ 01024010710), ფლობს 33%-ს;

ლევან სარქისიანი, (პ/ნ 01020006799), ფლობს 33%-ს.

ზურაბ შამოიანი, (პ/ნ 01013004749), ფლობს 34%-ს.

შპს „არგო“ არის სადისტრიბუციო კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობაა: საბითუმო ვაჭრობა ყავით, ჩაით, კაკაოთი და სანელებლებით - ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი: 46370

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

2.ურთიერთდამოკიდებული პირები:

შპს „არგო“-ს დამფუძნებლებისგან იჯარით აქვს აღებული ფართი. დეტალურად საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვები მოცემულია ცხრილის სახით:

ლევან სარქისიანი:

	საწყისი ნაშთი	დებეტური ბრუნვა	კრედიტული ბრუნვა	საბოლოო ნაშთი
	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)
	0	7200	7200	0

ზურაბ შამოიანი:

	საწყისი ნაშთი	დებეტური ბრუნვა	კრედიტული ბრუნვა	საბოლოო ნაშთი
	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)
	0	7200	7200	0

მერაბ ნაჭყებია:

	საწყისი ნაშთი	დებეტური ბრუნვა	კრედიტული ბრუნვა	საბოლოო ნაშთი
	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)
	0	7200	7200	0

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

3. მომზადების საფუძველი:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს „კომპანიის“ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორისი“ და „1C“. პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

სააღრიცხო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს–ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

4.სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა:

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“ „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება როგორც ფინანსური შემოსავლები და ხარჯები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგებაში გამოყენებულია შემდეგი კურსები: აშშ დოლარი - 3.0976 , ევრო - 3.5040

5.საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობამ ახალი კორონა ვირუსი ინფიცირების რისკების აამოქმედა საგანგებო ვითარების რეჟიმი, რომელიც 2020 წლის 10 მაისამდე გაგრძელდა პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. ასევე 2021 წელს სახელმწიფოს მიერ პანდემიასთან დაკავშირებით მოქმედებდა გარკვეული შეზღუდვები თუმცა, კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა ის გავლენა რაც შეიძლება იქონიოს COVID 19-მა კომპანიის საქმიანობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ოპერირებს საკვები პროდუქტების სფეროში, აღნიშნულ ვითარებას არ ქონია კომპანიის საქმიანობაზე და შემოსავლიანობაზე ნეგატიური გავლენა.

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად: კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

- აქტივი მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი გამოყენება ან რეალიზება 1 საანგარიშო წელზე ნაკლებ ვადაში და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

- გრძელვადიანია აქტივი, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია 1 საანგარიშო წელზე მეტი ვადით და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

- ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

7. შეფასების და წარდგენის ვალუტა:

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარმოსადგენი ვალუტაა.

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

8. აქტივები:

კომპანიის აქტივების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მიმდინარე აქტივები, რომლიც წლის ბოლოსთვის მთელი აქტივების 98% შეადგენს. მიმდინარე აქტივები თავის მხრივ შედგება, ფულის და მათი ეკვივალენტებისგან, გადახდილი ავანსებისგან, წინასწარ გაწეული ხარჯებისგან, მოკლევადიანი მოთხოვნებისგან და სასაქონლო-მატერიალური მარაგებისგან.

კომპანიის გრძელვადიანი აქტივები შედგება ძირითადი საშუალებებისგან და არამატერიალური აქტივებისგან.

9. ფული და ეკვივალენტები:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ნაღდი ფული სალაროში	404,140	224,871
ფული საბანკო ანგარიშებზე	158,867	153,266
სულ	563,007	378,137

10. მოკლევადიანი მოთხოვნები:

სავაჭრო და სხვა დებიტურული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სავაჭრო მოთხოვნები	4,656,685	3,664,058
სულ	4,656,685	3,664,058

11. გადახდილი ავანსები:

კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის და მომსახურების შესყიდვის მიზნით, ასევე მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
საბაჟოსთვის გადახდილი ავანსი	34	34
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	126,768	5,072
სულ	126,801	5,105

12. ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. ფიქსირებული საშუალებების განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაყიდვებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში,

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სხვადასხვა სახის აღჭურვილობა და ინვენტარი 5-7 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები 5-15 წელი.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა- ნაგებობა ები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტ ო საშუალებები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერ იალური აქტივები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>								
დეკემბერი 31, 2019		18,857	172,669	5,353	100,916	21,253	45,211	364,257
მატება	-	13,860	22,300	-	9,350	-	3,900	49,410
კლება	-	15,912	-	-	40,811	-	-	56,723
დეკემბერი 31, 2020	-	16,805	194,969	5,353	69,455	21,253	49,111	356,945
მატება	-	8,500	-	-	6,926	669	390	16,486
კლება	-	7,706	13,603	-	3,912	-	-	25,221
დეკემბერი 31, 2021	-	17,599	181,366	5,353	72,469	21,922	49,501	348,210
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>								
დეკემბერი 31, 2019	-	12,773	155,871	5,324	90,954	14,911	-	279,834
მიმდინარე წლის ცვეთა		660	9,765	8	5,074	793	-	16,299
ცვეთის ამობრუნება		4,242	-	-	38,861	-	-	43,102
გასხვისებაზე								
დეკემბერი 31, 2020	-	9,191	165,636	5,332	57,167	15,704	-	253,030
მიმდინარე წლის ცვეთა		1,303	7,232	8	4,997	888	-	14,428
ცვეთის ამობრუნება		2,390	10,769	-	2,948	-	-	16,107
გასხვისებაზე								
დეკემბერი 31, 2021	-	8,105	162,098	5,340	59,216	16,592	-	251,351
<i>ნარჩენი ღირებულება</i>								
დეკემბერი 31, 2019	-	6,084	16,798	28	9,961	6,341	45,211	84,424
დეკემბერი 31, 2020	-	7,614	29,333	21	12,287	5,548	49,111	103,915
დეკემბერი 31, 2021	-	9,495	19,268	13	13,253	5,330	49,501	96,858

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები:

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, რაც გულისხმობს შეძენის (ნასყიდობის) ფასს; საიმპორტო საბაუო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა), აგრეთვე ტრანსპორტირების საფასურს, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მზა პროდუქცია	2,607,120	2,465,447
სარეკლამო საქონელი	133,955	152,147
ნედლეული და მასალები	13,999	7,897
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	2,896	1,060
სულ	2,757,970	2,626,550

14. წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სააღსრულებო ხარჯი - სახელმწიფო ბაჟი	13,974	13,874
სულ	13,974	13,874

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

15. მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავისი მოვალეობები საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, კომპანიის კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებებს წარმოშობილი საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, ასევე ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ, რომელიც შეადგენს აკუმულირებულ თანხას, რომელიც დაუბრუნდება დაქირავებულ პირს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.

მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	(314,860)	191,182
ვალდებულებები სატრანსპორტო კომპანიების წინაშე	(8,518)	-
საპენსიო ფონდი	(5)	-
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	(22,470)	21,450
ვალდებულებები საბაჟოს წინაშე	(12,188)	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(31,087)	14,497
სულ	(389,129)	227,129

16. საგადასახადო ვალდებულებები:

კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოს საგადასახადო ვალდებულებად უფიქსირდება 60,563 ლარი და ავანსი საბაჟო გადასახადის კუთხით 33.62 ლარი (შენიშვნა N11)

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

17. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი:

2020 საანგარიშო წელს აკუმულირებულმა წლიურმა მოგებამ შეადგინა 2 051 651 ლარი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 4 912 265 ლარს. 2021 საანგარიშო წელს აკუმულირებულმა წლიურმა მოგებამ შეადგინა 2 645 367 ლარი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 6 230 574 ლარს.

18. შემოსავლის აღიარება:

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია საქონლის/მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს. შემოსავალში გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

კომპანიის შემოსავლების ნაწილი შეადგენს საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს.

სხვა შემოსავალი

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
საშემოსავლოს შეღავათი	31,959	45,079
რეალიზაცია - ძირ.საშ. დღგ-თი დასაბეგრი	9,309	
უსასყიდლოდ მიღებული არა ალკოჰოლური მარკები	8	9
სარეკლამო საქონელი	-	27,426
მომწოდებლისგან მიღებული კრედიტ ნოტა	165,846	363,120
პაღეტები	6,750	13,860
სადაზღვევო კომპანიიდან მიღებული შემოსავალი	-	640
უსასყიდლოდ მიღებული მომსახურება	-	35
სულ	213,872	450,169

შპს „არგო“

ს/კ: 250724337

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

19. ხარჯის აღიარება :

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
რეკლამის ხარჯები	-	38,884
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-	2,066
უსაფრთხოების დაზღვევა	726	762
მომსახურების ანაზღაურება - ფ/პ	638	510
საპენსიო ფონდი (ორგანიზაციის ხარჯი)	19,762	18,883
კომუნიკაციის ხარჯები	6,101	5,889
დაზღვევა	2,660	2,941
კომპიუტერის ხარჯები	5,213	3,060
საკონსულტაციო ხარჯები	12,614	4,214
ბანკის მომსახურება	11,358	10,403
ა/მ-ზე გაწეული ხარჯი	43,837	37,860
საკანცელარიო საქონელი	11,517	10,556
დაცვის მომსახურება	19,701	17,492
მარკეტინგული მომსახურება	2,512,261	1,597,646
სხვა საერთო ხარჯი	29,097	23,247
სულ	2,675,487	1,774,413

სხვა ხარჯები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
რეალიზაცია კომპენსაციის გარეშე	56,807	70,702
უსასყიდლოდ მიღებული არაალკოჰოლური მარკები	4	-
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	9,114	-
სულ	65,925	70,702

შპს „არგო“

ს/კ: 250724337


ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები:

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენა რამაც შეიძლება განაპირობოს მოცემული ფინანსური ანგარიშგების ცვლილება.

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2018 წელი.

დირექტორი:  /გიორგი ვარდოლასანიძე/

მთ.ბუღალტერი:  /ლიანა სკვაშვილი/

